№ 22 იანვარი 28, კვირა 1890 იანვარი 28, კვირა № 22

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	9	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის სახლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890

სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი

1877—1890

სურათებიანი

„ვეფხის-ტყაოსანი"

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთსაწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში — ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

ქართული თეატრი

კვირას, 28 იანვარს,

ბენეფისი

ვ. ა. აბაშიძისა

წარმოდგენილი იქნება:

I

პირველი და მეორე მოქმედება

ვაი ჭკუისაგან

კომედია გრიბოედოვისა.

II

ჯერ დაიხოცნენ — მერე დაქორწილდნენ

ვოდევილი 2 მოქ., რ. ერისთავისა.

III

მეორე მოქ. ა. ა. ცაგარლის კომედიიდამ

ხანუმა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

ტფილისი, 27 იანვარი

საკვირველი კაცი ბძანდება ეხლანდელი ახალგაზდა იმპერატორი გერმანიისა. თუმცა ამის გაიმპერატორებას გერმანიაში ისეთის სიყვარულითა და სიხარულით არ მიეგებნენ ევროპიელნი, როგორც მის განსვენებულ მამის საიმპერატორო ტახტზე ასვლას, მაგრამ რაც ხანი გადის, მით უფრო ძლიერ იზიდავს ეს დაუღალავი და დაუძინებლად მშრომელი გვირგვინოსანი ქვეყნიერობის ყურადღებას. დღესაც არ იციან გარკვევით რა გამოვა ამ ძლიერ სახელმწიფოს მფლობელის ხელიდგან. ეს კი იციან, რომ დიდად მოძრავი კაცია, საკმაოდ განათლებული, გამბედავი, უშიშარი და დაუღალავი მშრომელი. ესეც იციან, რომ ვერავინ ვერ აიყოლიებს, ვერავინ მოინადირებს, ვერავინ ვერ ჩაიგდებს ხელში. იგი თითონ თავის თავს და თავის ნებას უფრო ეკითხება, ვიდრე სხვას, უფრო თვით მსჯელია და თვით-მომქმედი, თუმცა ამასთან ერთად სხვის რჩევისა და სხვის აზრის კეთილად და გულდადებით მომსმენია და ხშირად შემწყნარებელიცა და შემთვისებელიც.

ამისთანა ხასიათის კაცი, იმ სიმაღლეზე დაყენებული, როგორც საიმპერატორო ტახტია იმ სახელმწიფოსი, რომელსაც მთელი ქვეყანა დიდის რიდითა, თავაზით და—ცოტა არ იყოს—შიშითაც უყურებს, ან დიდის საქმეების მომქმედი უნდა გამოვიდეს, ან სულ არაფერი. ამისთანა კაცს არარაობიდამ დაწყებული დიდ საქმეებამდე არავითარი კიბე არა აქვს, რომ რომელსამე საფეხურზე დასდგეს და გაჩერდეს. ამისთანა კაცი ან სულ „ჰოა", ან სულ „არა", ან სულ ძირს დარჩება, ან სულ მაღლა ავა. რა თქმა უნდა, რომ როგორც ევროპაში საერთოდ, ისეც გერმანიაში ცალკე ეხლანდელი იმპერატორი ვილჰელმი ზოგს დიდ-ბუნებოვან კაცობის იმედს აძლევს და ზოგსკი ჰგონია, რომ მის ხელიდამ ფართი-ფურთობის მეტი არა გამოვა-რაო. ჩვენის ფიქრით, ერთსაც საბუთი აქვს და მეორესაც თავთავისი აზრის თქმისა. ყოველი მოქმედება ვილჰელმისა,—რაც-კი ვიცით,—ზედ ფართი-ფურთობის ნიშანსაც ატარებს და დიდ-ბუნებოვანობისასაც. ყოველს მის მოქმედებას ორივე ფერი ადევს და რომელი გაიტანს თავს და შერჩება ბოლომდის, ამას დრო გამოაჩენს.

ავიღოთ თუნდა იგი ამბავი, რომელიც ამ დღეებში მოგვიტანა დეპეშამ და რომელსაც ჩვენ მეტისმეტ დიდ ამბადა ვთვლით. იმპერატორს ვილჰელმს ბძანება გაუცია, რომ გერმანიის ელჩებმა საფრანგეთსა, ინგლისსა, ბელგიასა და შვეიცარიაში იქაურ მართებლობას ჰკითხონ თანახმანი იქნებიან, თუ არა საერთოდ მოვილაპარაკოთ იმის თაობაზე, რომ რაიმე წამალი დაედოს ამ უკანასკნელ ხანებში წამომდგარს საჭიროებას მუშა-ხალხისასაო. თუ ეს აზრი მათ მიერ მიღებულ იქმნა, მაშინვე იმპერიის კანცლერს ებძანება მოიწვიოს კონფერენციაში ყველა მართებლობა, რომელთაც ჰსურთ ერთ ნაირი მონაწილეობა მიიღონ მუშა-ხალხის საქმეშიო.

ეს ბძანება თურმე მარტო იმპერატორ ვილჰელმისაგან არის ხელმოწერილი და რადგანაც მინისტრისაგან ხელ-მოუწერელია, ამიტომაც იმ ბძანებას ისე უყურებენ, როგორც იმპერატორის საკუთარ ნებისა და სურვილის შედეგსაო. მეორე დღეს მოსული დეპეშა გვაუწყებს, რომ თ. ბისმარკს არ მოსწონებია ეს ბძანება. ამისთანა საქმეშიო, როგორიც მუშა-ხალხის საქმეა, ეგრე ხელ-გაშლით მოქმე- [illegible] და თავ-შემაგრებული მოქმედებაა საჭიროო. ესეა თუ ისე, ეს ბძანება გერმანიის მპყრობელისა დიდის სიხარულით მიუღია ყველას, თუმცა-კი არ იმედოვნებენ, რომ ადვილად შესასრულებელი იყოს.

ამ გვარად მუშა ხალხის საქმის განხილვა, ახალი ამბავი არ არის თურმე. პირველობა ამ გვარად განხილვის სურვილისა შვეიცარიას ეკუთვნისო, გვაუწყებს დეპეშა, რომელსაც ამ შემთხვევაში „Journal de St.-Petersbourg"-ის აზრი მოჰყავს. რა თქმა უნდა, დიდის აზრის თავში მოსვლაც დიდი საქმეა, მაგრამ უღონო შვეიცარიას, რომელსაც არც დიდი ხმა აქვს ევროპაში და არც გავლენა, უქმად ჩაუარა ამ დიდებულმა აზრმა. ეხლა ამ აზრს ხელი ჩასჭიდა იმისთანა შემძლებელმა და ძლიერმა ხელმწიფემ, რომლის სურვილს ძალიც შესწევს და ღონეც და რომლის ხმა და გავლენა ევროპაში დიდია და უცილობელი. ხელი ჩასჭიდა მარტომ და იმასაც-კი არ მოერიდა, რომ მისი სახელ-განთქმული დიდ-გავლენიანი კანცლერი თითქმის ამის უარზეა. როგორც გნებავთ იფიქრეთ და იმაზე კი უარს ვერ იტყვით, რომ ამის მომქმედს კაცს ცოტა რამ დიდ-ბუნებოვანობისა არა ეცხოს-რა.

არ ვიცით,—რა გამოვა განზრახულ კონფერენციისაგან, ხოლო მუშა-ხალხის საქმე რომ თითქმის საკაცობრიო, საყოველთაო საქმედ იცნა გერმანიის იმპერატორმა, მარტო ეს ამბავი მეტის-მეტად დიდი რამ არის თავის თავადაც, იმისდა მიუხედავად, გამოვა რამე საკეთილო კონფერენციისაგან, თუ არა. აქედამა სჩანს, რომ მუშა-ხალხის საქმემ თავისი კუთვნილი ადგილი დაიჭირა, თითოეულ სახელმწიფოს ცალკე პატარა საქმისაგან აიწია დიდ-საკაცობრიო საქმემდე და თავის კუთვნილ სიმაღლეზე დასდგა. ქვეყნის საქმეა და საქვეყნო წამალს, საქვეყნო სახსარს ჰთხოულობს ჭირისაგან დასახსნელად. აქედამა სჩანს, რომ ერთა-შორისი ურთიერთობა, ერთა შორისი ერთმანეთისათვის გულის ტკივილი ამით ერთს ბიჯს კიდევ წინ წაჰდგამს თავის ჯეროვანის ადგილის დასაჭერად, რომ ცალკე ერთა წყლულები საკაცობრიო წყლულებად მიიჩნიოს და მთელის კაცობრიობის ღონითვე შველა და წამალი აღმო- [illegible] რისაგან განზრახული, ჩვენის ფიქრით, ისეთი ამბავია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეს ქებად და დიდებად ჩაეთვლება ისტორიისაგან სხვათა დიდებულ საქმეთა შორის, და ამ საქმის დამწყები, მეთაური და მომქმედი გერმანიის ახალგაზდა იმპერატორია. გინდ ფართი-ფურთობაში ჩამოართვით და გინდ დიდ-ბუნებოვან კაცად იცანით, უტყუარს განაჩენს-კი დრო და ჟამი დასდებს.

[illegible] ხულ საქმისაგან მუშა-ხალხისათვის არაფერი კეთილი არ გამოვიდეს. პირ-იქით, იქნება კიდეც უფრო უარესი დღე დააყენონ. ხოლო რა-კი ერთხელ ეს საქმე ამ გზაზედ დაყენებულ იქმნა, აქედამ ფეხს ძნელად-და მოიცვლის. ეს ერთი იმისთანა მაგალითია, რომ არა გვგონია მუშა-ხალხის ბედმა ამის გარედ სხვა გზა-და იძიოს გაჭირებისაგან დახსნისათვის. ესეც კი საფიქრებელია: იქნება ის ამბავი იმიტომ ასტეხეს გერმანიაში, რომ მუშა-ხალხის გული მოიგოს იქაურმა მთავრობამ. თებერვლის დასაწყისში საპარლამენტოდ დეპუტატების არჩევანებია დანიშნული გერმანიაში და, რა თქმა უნდა, გერმანიის მთავრობისათვის მეტად სასურველია მისი მომხრენი ამორჩეულ იქმნან მით უფრო, რომ ეგრედ წოდებულნი „სოციალ-დემოკრატები" ბევრგან ქადულობენ არჩევანებში გამარჯვებას მუშა-ხალხის იმედით. ვინ იცის? იქნება მუშა-ხალხის მოსანადირებლად გამოცემულ იქმნა ის მათთვის სასიამოვნო ბძანება იმპერატორისა, რომლის გამოც ჩვენ ვლაპარაკობთ, და ამ გზით გერმანიის მთავრობას ჰსურს მიიმხროს მუშა-ხალხი ამ არჩევანებში და „სოციალ-დემოკრატები" ცარიელზედ გაიყვანოს. არც ეს არის საკვირველი. რა არ არის შესაძლებელი ყოვლად შემძლებ პოლიტიკოსებისათვის. თუნდ რომ ესეც იყოს, მაინც მაგალითი მაგალითად დარჩება და თავის საზნეოსა და საზოგადოებურს მნიშვნელობას არ დაჰკარგავს.

◆

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 28 იანვარს ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენის არტისტის ბ-ნ აბაშიძისა. წარმოსადგენად მობენეფისეს ამოურჩევია ნაჭრები იმ სხვა-და-სხვა პიესისა, [illegible] რომლები აქვს და ისეთის ხელოვნებითაც თამაშობს, რომ თეატრის მოყვარენი დიდს სიამოვნებასა ჰგრძნობენ.

⁂ მეტად კარგი აზრი მოსვლია ბ-ნს ე. გუნიას, რომელსაც შეუდგენია „უბის წიგნი" 1890 წლისა, შიგ ჩაურთავს მოკლე კალენდარი და უფრო საჭირო ცნობანი ყოველ-დღიურის სახსოვრებისათვის. უბის წიგნს ლამაზი ყდა აქვს და 40 კაპ. ღირს. [illegible] „უბის წიგნი" ძალიან გავრცელდება ქართველობაში, რომელიც აქამდე იძულებული იყო რუსულ „Памятная книжка"-თი წასულიყო ხოლმე იოლად.

⁂ ამ წელს ქალაქის მმართველობას, როგორც ანგარიშიდგან სჩანს, ათას რვაას თუმნით ნაკლები შემოსავალი ჰქონია იმის მიხედვით, რაც აღნიშნული იყო შარშან შედ- [illegible] ბობს, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ჯერ არ დაუბრუნებია ქალაქის მმართველობისათვის ის 15 ათასი მანეთი, რომელიც ქალაქმა სამეურნეო გამოფენის გასამართავად მისცა.

⁂ ამას წინად მკითხველებს ვაუწყეთ, რომ ტფილისის გამგეობის პროექტით 15% უნდა მიეცეს საჩუქრად საქალაქო ბიუროს მოხელეებსაო. ეს პროექტი ჯერ ქალაქის საფინანსო კომისიამ განიხილა და არ დასთანხმდა მაგ საჩუქარს. საფინანსო კომისიის აზრით, 10 პროცენტიც საკმარისი იქნებაო. ორშაბათს, 29 იანვარს, საბჭო განიხილავს როგორც გამგეობის წინადადებას, აგრეთვე კომისიის აზრს. იმავე კრებაზე იქნება ბაასი შესახებ წესისა, რომელიც უნდა შემოღებულ იქმნას საყასბოებსა და ხორცეულების დუქნებში.

⁂ უკანასკნელ დრომდე კუკიასა და ჩუღურეთში შეშის ურმები სულ-ქუჩა-ქუჩა დაჰქონდათ მეურმეებს, რადგან ერთობ ერიდებოდნენ, რომ სადმე მოედანზე არ დამდგარიყვნენ. ამისი მიზეზი იყო შიში, რომ არ გადაეხდევინებინა ქალაქის გამგეობას ბაჟი, ურემზე ორი შაური. ამ დღეებში-კი მეცხრე და მეათე პოლიციის განყოფილებათა განკარგულება მოახდინეს, რომ ამას იქით ურმები აღარ ატარონ ქუჩა-ქუჩა და აღარ შეავიწროვონ გზები. შეშის ურმების დასაყენებელ ადგილს უჩვენებს პოლიცია ჩუღურეთისა და კუკიის მოედნებს. კუკიის მოედნებს არ ეტანებიან მეშ-

შეები, რადგან მუშტარი ნაკლებად ჰხვდებათ, და ამიტომ სულ ჩუღურეთის ვიწრო მოედანს მოაწყდა ამდენი ურმები. დაიჭირეს თუ არა მეურმეებმა ადგილი მოედანზე, მაშინვე მებაქენიც გაჩნდნენ თავიანთის ბილეთებით.

⁂ გუშინ-წინ, 26 იანვარს, საზაფხულო თეატრში წარმოდგენილი იყო მომავალ ქართულ დედათა სკოლის სასარგებლოდ ოპერა „ჰუგენოტები“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა უკეთესი არტისტი საოპერო დასისა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, თეატრი თითქმის სულ სავსე იყო.

⁂ **ბათუმი:** ახალი ამბავი ბათუმში ის არის, რომ ვიღაც ბელგიელს „Jean Walter“-ს აუღია იჯარით თ. დავით გიორგის ძის გურიელის მამული ნავთის წარმოებისათვის. ხსენებულ ბელგიელს უნდა დიდი ფული დაატრიალოს ამ საქმეში. ამ ცოტა ხანში მუშაობასაც დაიწყებენ. იჯარით აღებული მამული დიდია, ქალაქ ფოთიდამ დაწყებული თითქმის სუფსის რკინის გზის სადგურამდე.

⁂ **ყარსი:** 21 იანვარს ყარსის ქართველები მეორედ ეღირსენით რუსულ-ქართულს წარმოდგენას. ხალხი ბლომად დაესწრო, მომეტებულად-კი რუსობა და სომხობა. რუსულად წარმოადგინეს „Мастерская русскаго живописца“. მონაწილენი იყვნენ: თ. აბამელიქოვი, ბ-ნი ოდზობინი, ბ-ნი ასტახოვი, ქ-ნი ნ. მ. გიქიმყრელისა და **N N.** მეორე და მესამე პიესა ქართული იყო „ბიძიასთან გამოხუმრება“ და მესამე მოქმედება „მათიკო“-სი. მონაწილენი იყვნენ: გ. ლ. ბაქრაძე, ზ. დ. მამულოვი, მ. ლ. კიკნაძისა, ბ-ნი ქავთარაძე, თ. ზ. ჯანდიერი და ნ. მ. გიქიმყრელისა. ერთობ ყველამ კარგად წარმოადგინეს, ტაშის კვრა და თამაშობის მოწონება დიდი იყო. თუმცა მომეტებულს ქართულად არ ესმოდა, მაგრამ მაინც ამბობდნენ: მუდამ დღეც რომ წარმოადგინონ ქართულად, არ მოგვეწყინდება და ორ-სამ მანეთს არ დავიშურებთ ამისთანა მხიარულ და მშვენიერ შექცევისათვისაო. გათავების დროს მაყრული იმღერეს და ძალიან მოეწონა რუსობასა და სომხობას. ერთი წარჩინებული მოხელე-კი ხალხსა სთხოვდა, რომ სუყველამ ტაში დაუკარით, ერთი კიდევ გავიგონოთ ეს მშვენიერი სიმღერაო, და ხუთ-ექვსჯერ გამოიწვიეს მოთამაშენი, ამღერეს და ათამაშეს ქართულს სათამაშო სიმღერაზედ. წარმოდგენა იყო წინამძღვარიანთ-კარის სასარგებლოდ. სიმღერის დროს მომღერლებს მიეშველა ზოგიერთი მაყურებელიც.

⁂ **საჩინო** (ქვემო-იმერეთი): საჩინოში ძალიან მოდებულია ინფლუენცია. ოჯახი არაა, რომ ორი-სამი ავადმყოფი მაინც არ იყოს. დაუდევნელობის მიზეზით ფილტვების ანთებადაც გადაიქცევა ხოლმე და ჰხოცავს ხალხს. ხშირად მთელი ოჯახობაა ამ სენით ავად და მომვლელი აღარავინა ჰყავთ, შიმშილ-წყურვილით იხოცებიან. ამ ორის კვირის განმავლობაში მარტო ერთ პატარა სოფ. სალხინოში (85 მცხოვრებელია) ათი კაცი იმსხვერპლა ინფლუენციამ. სხვათა შორის ერთ გლეხის ოჯახში ორი დღის განმავლობაში ორი სული მოკვდა და მესამე ავადმყოფმა მწუხარების გამო დანით ყელი გამოიჭრა, რაკი დაინახა ქმრისა და დედის სიკვდილი. ორი ძუძუს მწოვარა ბავშვი-ღა დარჩა ამ ოჯახში ობლად და უპატრონოდ. თითქოს ჭირზედ ინფლუენციას თან დაერთო ყვავილი. ეს-ღა გვაკლდა. წარსულს წელს დიდხანს იყო გავრცელებული ეს სენი (ყვავილი) და ეხლა კვლავ გაჩნდა აქა-იქ.

⁂ **კავკავი.** „Гражданинъ“-ს სწერენ, რომ ქალაქის მოურავი პ. ა. ლილეევი უკვე დაბრუნდა პეტერბურგიდამ, სადაც იგი შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე, პეტროვსკის რკინის გზა ქალაქ კავკავზედ გაკეთე- [illegible] ქალაქის თავს უნახავს ყველა მინისტრი და იმათ აღუთქვამთ თავიანთი დახმარება. პეტერბურგიდამ კავკავში უნდა ჩამოვიდეს განსაკუთრებული კომისია იმის გამოსაძიებლად, თუ რამდენად მდიდარია თერგის მხარე და რამდენად სასარგებლო იქნება რკინის გზის გაყვანა კავკავიდამ პირდაპირ ტფილისზედ ჯერახის ხეობით (?). ამ სახით საქმე უფრო მძიმე და რთული გამოდის, რადგან დღეს სამი [illegible] რუსეთის კავკასიასთან რკინის გზით შეერთებისა: ერთი თერგისა, მეორე მდ. სუნჯის ხეობაზედ და მესამე ეხლანდელი—პირდაპირ ტფილისზედ ჯერახის ხეობით. მერმისი დაგვანახვებს, თუ მათგანს რომელს მოიწონებენ და რომელს აირჩევენ.

◆◆

ნაკვესი

ნიკოლოოზ ხელმწიფემ თითქმის სრული თავისი უფლება მიანიჭა ჩერნიშევს, როდესაც იგი გამოჰგზავნა კავკასიაში ბარონ როზენის დროს. ჩინებისა და ორდენების მიცემა, „შეკვრა და გახსნა“ სულ ყველაფერი იმის ხელთ იყო. ტფილისში რომ მოვიდა, სასახლის წინ დაუხვდა საპატიო ყარაული და საზოგადოება. ჩერნიშევმა ჩამოუარა ყარაულს, მიესალმა საზოგადოებას და, სასახლეში შესვლა რომ დააპირა, კარებთან სავარძელზე მჯდომარე დაუხვდა თავადი ფარსადან ციციშვილი, ღრმად მოხუცებული კაცი, რომელსაც ჩერნიშევთან ნაპოლეონ I-ის ომების დროს ემსახურნა.

— საშა, აქედაც მოიხედე-და! ვერ მიცანი? შეჰსძახა ფარსადანმა.

— ფარსადან! შენა გხედავ? გაიკვირვა ჩერნიშევმა და გადაეხვია.

მეორე დღეს ჩერნიშევმა თავის ძველს მეგობარს ვლადიმერის ორდენი გაუგზავნა. ფარსადანმა მიიღო თუ არა, გაიკეთა ვლადიმერი და მადლობის სათქმელად წავიდა ჩერნიშევთან.

— საშა! უმაწვილი რომ ვიყავი, რძის ფასად მაჭმევდი, და ახლა, უკბილო რომ გავხდი, ძვალს მიგზავნიო! უთხრა ფარსადანმა და დაიდო ხელი ორდენზედ.

ლელო

◆◆

სახელდახელო

(ყბად-აღებული—წყალ-წაღებული ამბავი)

იცით, მკითხველო, ვინ არის წყალტუბელი? რა მესმის—არაო?! ოჰ, სირცხვილო! ოჰ, მიუტევებელო ცოდვავ! როგორ არ იცნობთ ამ „მეტად ცნობილს ჩვენს ლიტერატურაში მწერალს“? ოჰ, კვლავ სირცხვილო! ოჰ, მომაკვდინებელო ცოდვავ! უნდა მოინანიოთ, მკითხველო, ეს ცოდვა! უსათუოდ უნდა იცოდეთ, ვინ არის ეს „მეტად ცნობილი“ წყალტუბელი! აბა, შეწევნითა ღვთისათა, დავიწყოთ. ისმინეთ და უწყოდეთ.

წყალტუბელი ის „მეტად ცნობილი მწერალია“, რომელიც ოდესღაც სადღაც სწერდა ლექსებს, იმ ლექსებს, რომელზედაც ერთი ბოროტი კრიტიკოსი ამბობდა: ეს ოხერი ლექსი ვგრიხე, ვჭიმე, ვღეჭე, ვალბე, ვწურე,—მაინც ვერც აზრი და ვერც პოეზია აქედამ ვერ გამოვწურეო.

წყალტუბელი ის „მეტად ცნობილი მწერალია“, რომელიც, კარგა ხნის შემდეგ, როცა ლექსების წერაზედ ხელი აიღო, სკოლებზე სწერდა რაღასაც და ვიღასიც [illegible], სკოლების [illegible] „ალკოჰოლზე“ დაიწყო ქადაგება, „ალკოჰოლს“ მოჰყვა კიცხვა „ვიღაც დონ-იაგოების“ და „ბიჭო-გოგიების“ და ყველა ეს დააგვირგვინა ფელეტონით გაზ. „თეატრში“: „წერილები შვეიცარიელ მეგობართან“...

აქ კი ნება მომეცით, მკითხველო, ცოტა ხანს შევჩერდე. თქვენ თითონ ჰხედავთ თქვენის ბედნიერის თვალით, რომ წყალტუბელს ზეციდამ მიმადლებული აქვს ნიჭი, „უთვალავი ფერითა“, მაგრამ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი რა არის შედარებით იმ „ხელის-ხელ საგოგმანებ მარგალიტებთან“, რომელიც ჩვენ ამ ბოლოს ნაწარმოებში ვიპოვეთ. ბ-ნი წყალტუბელი უქებს თავის „შვეიცარიელ მეგობარს“ ჩვენს ქვეყანას და რა უქებს,—ისეთი ტურფაა, ისეთი მდიდარი, ისე უხვად არის შემკულიო, რომ, იქნება, ერთი ნატვრის თვალი-კი არ მოიპოვებოდეს, თორემ სხვა რაც გნებავს, მოითხოვე... ჩვენი მთა-გორები ხომ... [illegible] მარტო სიმაღლით და სიდიადით არიან გასაკვირველნი? ოჰ, ეს რა სათქმელია! თქვენ გული გაუსინჯეთ და იქა ჰნახავთ საკვირველებასა და საოცრებას... მაგრამ აქ თვით წყალტუბელი ვალაპარაკოთ.

— რა გინდა სული და გული,—რაღაც აღტაცებით თავ-დავიწყებული აუწყებს წყალტუბელი თავის მეგობარს,—ჩვენ მთებში არ იყოს: ოქრო, ვერცხლი, ფოლადი, რკინა, სპილენძი, **თითბერი, ბრინჯაო,** თუჯი, კალა, ტყვია, გიშერი...

ოჰ, საკვირველებავ! ოჰ, სასწაულთ-მოქმედებავ! საბრალო „შვეიცარიელი მეგობარი“! აი თუ გადირევა სიხარულით, ამას რომ წაიკითხავს!.. თითბერი, ბრინჯაო, თუჯი პირდაპირ მთებში ყოფილა! ღმერთო ჩემო, და ეს ჩვენი ქვეყანა დედამიწის ნაწილი-კი არა ყოფილა, რაღაც ფერიების სამეფოს ჰგვანებია... მაგრამ მოიცადეთ, აქ ხომ შეცდომა არა არის-რა? ჩვენი წყალტუბელი ოცნებამ ხომ არ გაიტაცა თავ-შეუკავებლად? მომითმინეთ! აი ქიმიის ელემენტარული სახელმძღვანელო. აბა წაიკითხე, ჩემო პაწია! (პაწიავ ცოდნით, რასაკვირველია, და არა ხნით), ჩათვალე:

„კალა და სპილენძი რომ ერთად გადაადნო, სხვა-და-სხვა გვარად შედუღდებიან. ერთად შედუღებულს კალასა და სპილენძს ბევრს რამეში ხმარობენ და სხვა-და-სხვა სახელს უწოდებენ,—საზოგადოდ-კი **ბრინჯაოს** ეძახიან“.

ჩათვალე ერთი კიდევ და გათავდება:

„სპილენძი, სხვა მადნეულებთან შედუღებული, მეტადრე თუთიასა (ცინკი) და კალასთან, უფრო გამძლეა, ადვილი სახმარებელი, ჩამოსასხმელი, ვიდრე მარტო წმინდა სპილენძი. ამის გამო ძველ დროიდამვე წმინდა სპილენძს იშვიათად ხმარობდნენ. ყველაზე ხშირად სახმარებელი და ცხოვრებაში გამოსადეგია ერთად შედუღებული სპილენძი და თუთია, რომელსაც ჩვენ თითბერს (латунь томпакъ), კიდევ უვითელ ანუ მწვანე სპილენძს ვეძახით“...

რაც შეეხება თუჯს, ეს კიდევ რენკვისტას ქარხანაში იკითხოს როგორა კეთდება და არა მთებში ეძებოს.

მიჰხვდით, რაც წავიკითხეთ. აბა მაშ ეხლა წიგნი დავკეცოთ და წაკითხული ზეპირად გავიმეოროთ: ბრინჯაო, თუჯი და თითბერი ადამიანის ხელით ყოფილა გაკეთებული და არა ბუნების ნაწარმოები. მთელის დედამიწის ზურგი რომ გადასთხარო, ვერ იპოვი, როგორც მაგალითად, ოქროს, რკინას და სხვას, ვერც ბრინჯაოს, ვერც თუჯს და ვერც თითბერს, ბუნებისაგან გაკეთებულს. ერთის სიტყვით, „ჩვენს ლიტერატურაში მეტად ცნობილს მწერალს“ არა სცოდნია, [illegible] მთებში არ მოიპოვება თუჯი, თითბერი და ბრინჯაო. ამათ აკეთებს მარტო კაცი და კაცის ხელი. შვეიცარიელებმა რომ ქართული იცოდნენ და „სადის ჭკუისა და წრფელის გულის“ გაზეთს კითხულობდნენ, რასაკვირველია, ეს „ჩვენს ლიტერატურაში მეტად ცნობილი მწერალი“ შვეიცარიაშიაც მეტად ცნობილი იქნებოდა, როგორც კაცი, რომელმაც არც-კი იცის, რომ თუჯი, თითბერი და ბრინჯაო მთაში საპოვნელი მადანი არ არის, და მაინც-კი „მეტად ცნობილი ლიტერატორია“. ნათქვამია:—ბარში დაკარგული ჭკუა მთაში მოიპოვებაო,—და ამ დალოცვილს „მეტად ცნობილს მწერალს“, თუ მგონი უნდოდა რისამე, ის არა სჯობდა, ჭკუა ეძებნა მთაში, თუჯისა და ბრინჯაოს ამაო ძებნას!..

ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, თუ თავი მოაწყინეთ ამ საცნობარო ლექციის წაკითხვით, მაგრამ რას იზამ. ჩვენში რომ დარჩენილიყო, კიდევ ჯანი გავარდეს, ჩვენი „სადი ჭკუა და წრფელი გული“ ამაზედ უარესსაც აიტანდა, მაგრამ შვეიცარიაში სწერს ამ ამბებს; შვეიცარია განათლებული ქვეყანაა და რას იტყვიან, როდესაც გაიგებენ, რომ „მეტად ცნობილი ქართველი მწერალი“ მეცნიერების ანბანშიაც-კი კოჭლობს. ჩვენც, ბატონებო, თავ-მოყვარეობა გვაქვს, არა გვსურს უცხოეთში ასე თავი მოგვჭრათ. ჩვენი ლექცია-კი იქნება ბ-ნმა წყალტუბელმა გამოიყენოს. როგორც სჩანს, ბ-ნი წყალტუბელი ამ ერთს წერილს არა ჰკმარობს და სხვებსაც აპირებს:—შემდეგში მაინც გაფრთხილდება და, შეიძლება, ეს პირველი შეცდომაც გაასწოროს...

ეხლა ხომ იცნობთ, მკითხველო, ვინც გახლავს წყალტუბელი, ეს „მეტად ცნობილი მწერალი“? კიდევ ვერა? თქვენი ნებაა, მე-კი ამაზე მეტს ვერას გეტყვით, რადგან ამაზე მეტი არც მე ვიცი. მაგრამ უკაცრავად, ერთი კიდევ დამავიწყდა. ვერ გითხარით, რომ ბ-ნი წყალტუბელი თავმოწონე კაცია და საშინელი გაწყრომაც სცოდნია. აი ეხლაც, დარწმუნებული ვარ, წაიკითხავს თუ არა ამას, განრისხდება და შემდეგს წერილს მოსწერს ჩვენს რედაქტორს:

— სად ბრძანდებოდით, ბ-ნო რედაქტორო, როდესაც ამას სწერდნენ თქვენი „ვიღაც“ თანამშრომლები?

— მუდამ რედაქციაში გახლავარ, ბატონო, და უჩემოდ არაფერი იბეჭდება ჩემს გაზეთში. ეხლაც აქ გახლავარ, ამ წერილს ვკითხულობ და სალამს გიძღვნი: როგორ მშვიდობით გიკითხოთ ჩემო წყალწყალავ, ჩემო წყალ-წაღებულო, ჩემო წყალტუბელო!!!

ჩიტი-ჩიორა

◆◆

ტფილისის მაზრა

(საგეოგრაფიო და საეტნოგრაფიო შენიშვნები*)

ტფილისის მაზრა ტფილისის გუბერნიის შუაგულ ადგილას მდებარეობს 41°53,'23" და 41°19'3" ჩრდილოეთის სიგანესა და 63°10'51" და 61°4'45" აღმოსავლეთის სიგრძეს შორის. ჩრდილოეთის მხრით ტფილისის მაზრის მომიჯნავეა გორისა, დუშეთისა, თიანეთისა და თელავის მაზრები, აღმოსავლეთის მხრივ—სიღნაღის მაზრა და სამხრეთითა და დასავლეთით კი—ბორჩალოსი და ყაზახის მაზრანი. ზედა-პირის შენობა მაზრისა მთიან-გორიანია და ველიან-ბარიანი. მაზრაში მრავალია მომცრო მთა-გრეხილთა უღელტეხილი, რომელიც უმთავრესად მიიმართება დასავლეთიდგან აღმოსავლეთისკენ. მთებსა და მთებ შორის მრავალი ხევ-ხუვია, ღელე-ხრამი და მინდორ-ველი. ჩრდილოეთის მხრივ მაზრის მიჯნაზე გაწოლილა საკმაოდ მაღალი მთა: ყარ-ყაია (6,300 ფ.), საწკეპლო (6,200 ფ.), იალნო (6,450 ფ.) და სხვანი, რომელთა საზოგადო სახელი არის ცივი. ცივის უმაღლესი მწვერვალი—ცივი არის 8,515 ფ. სიმაღლისა. მაზრის დასავლეთის მხრით მიდის ბედენი-იალოს უღელტეხილი. ბარიანი ნაწილი მაზრისა მიჰყვება მდ. მტკვარისა და იორის ხეობას. მტკვრის მარჯვენა მხარეს ბარი იწყება სოღანლუღის ბოლოდგან და მარცხენა მხარეს-კი სოფ. ყარაჯალოდამ. ეს ორივე მხრის ბარი ჩაჰყვება მტკვარს განჯის გუბერნიამდე, ხოლო ისე რომ თანდათან დაქანებული მიდის. იორის ნაპირა ბარი-კი იწყება ნინოწმინდიდამ და სიღნაღის მაზრამდე უწევს. ყველაზე დაბალი ადგილი ბარისა 1,000 ფუთზე დაბალი არ არის. მტკვრის მარცხენა მხრის ბარს ყარაიაზი ჰქვიან. ყარაიაზსავე ახლო არის ეაკე-გორა, რომელსაც სამგორის ველი ჰქვიან და 2,200 ფ. სიმაღლე აქვს. მთები მხოლოდ ტფილისის ახლოს არის შიშველ-ტიტველი ანუ ადგილ-ადგილ ჯაგნარ-ბუჩქნარიანი, ხოლო ტფილისის მოშორებით-კი ყველა შეშის საჩეხ ტყით დაფარულია და ადგილ-ადგილ საშენი ტყეც იპოვება. უკეთესი ტყეებია მაზრის ჩრდილოეთით და ისიც თავად აზნაურობას ეკუთვნის. უფრო ძვირფასი სახელმწიფო ტყეები მაზრის დასავლეთისკენ არის და ალბულაღის მეტყევეს გამგეობაშია. ტყეს უჭირავს თითქმის მაზრის $^{1}/_{10}$ დი ნაწილი. ტყეში უმეტესს ნაწილად ხარობს მუხა, რცხილა, იფნა, თელა, მხალი და სხვ.

ტფილისის მაზრაში მხოლოდ ორი მდინარეა: მტკვარი და იორი, ხოლო მესამე არაგვის მდინარე მარტო შესართავთან ეკუთვნის ამ მაზრას. მტკვარს მარჯვენა მხრით ერთვის ალგეთი, ხრამი, ვერა და დიღომი. მარცხენა მხრით ლოჭინის ხევი, რომელიც ზაფხულობით სრულიად შრება. ალგეთის ტოტებია: ბოგრეხევი და ასურეთი. იორს ტოტები მხოლოდ მარცხენა მხრით აქვს: გომბორის წყალი, ლაფიას ხევი, მღვრივე და ფშა. ამას გარდა იორსა და მტკვარს ერთვის კიდევ წვრილ-წვრილი ნაკადული, მაგრამ ზაფხულის სიცხის გა-

---

*) ეს ცნობები ამოკრეფილია ს. ვ. მაჩაბლის წერილიდამ: „Экон. бытъ госуд. крестьянъ тиф. уѣзда“.

მო უმეტესი ნაწილი ამ ნაკადულებისა და ზემოხსენებულ ხევებისა შრება. ამიტომაც ამ მაზრის მკვიდრთ წყალი აკლდებათ, თითონ მტკვარიცა და იორიც ნაპირებ-ჩავარდნილია და იმ სიღრმიდგან წყლის გამოყვანა ფრიად გაძნელებულია. ამიტომაც ბევრი ადგილი, ხვნა-თესვისთვის გამოსადეგი, უწყლობის გამო შეუმუშავებელი რჩება და საზამთრო იალაღად ითვლება.

უწინ-კი ეს ადგილებიც სარწყავი ყოფილა. ძველ, ქართველ მეფეთ დროინდელი, ორი ნარუვალის კვალი ეხლაც სჩანს. ერთი მოდენილა არაგვიდამ (მცხეთას ახლო) ყარაიაზამდე და მეორე-კი იორიდამ ყოფილა გაყვანილი მეფე ერეკლეს დროს. მაზრაში კიდევ არის ორიოდე რუ, მაგრამ ამათ შესახებ თავის ადგილას იქნება საუბარი.

მკვიდრთა უმეტესი ნაწილი წყაროს წყალსა სვამს, მაგრამ ზოგიერთ სოფლებს ეს წყაროს წყალიც არა ჰყოფნის და ხალხი ამის გამო დიდს გაჭირებაშია. ამ გვარ ყოფაშია სოფლები, დიდი და პატარა ლილო, ნორიო, ახალ-სოფელი, ხატის-თელეთი და სხ.

მაზრის უმეტეს ნაწილში ჰავა ფრიად მშრალი და ცხელია წყლისა და ტყის ნაკლებულობის გამო. ამას გარდა სუსხიანი ქვენაა; ქარი, რომელიც კავკასიონის თოვლიან მთებიდამ უბერავს, უცბად სცვლის ჰავას, რაიცა დიდად მაზარალებელია ხალხის ჯანმრთელობისა და მეურნეობისათვისაც. 1884 წ., ორთა შუა რიცხვით, წლიური სითბო ტფილისში იყო 11,8° ცელსის ჰაერ-მზომავის ანგარიშით. იმავე წელს ზაფხულს ჩრდილში ჰაერ-მზომავი უჩვენებდა 35,6°-ს, ხოლო მზეზე 45,3°-ს. იმავე ზამთარს სიცივე იყო 23°-მდე. მაზრის ბევრი ადგილი, მაგ. მტკვრის ველი (ტფილისის ქვემოდ), ლოჭინი, უჯარმა და იორის ხეობა ჯან-მრთელობისათვის ფრიად მავნებელია. ყარაიაზში ზაფხულობით სიცხე მზის გულზე 51°-დეა. ამ დასახელებულ ადგილებში ყველაზე უკეთესს გარემოებაშია სოფ. უჯარმა, მაგრამ აქაც 119 მეკომურიდამ 1873 წლის აქეთ დარჩენილია მხოლოდ 25 კომლი.

მაზრაში მკვიდრობენ ქართველები, ფშავნი, ოსნი, სომეხნი, ბერძენნი, რუსნი, გერმანელნი, პოლშელნი, ურიანი და თათარნი. მკვიდრნი და ბინადარნი მოსახლენი არიან ქართველნი, რომელნიც მაზრის ყველა მცხოვრებლების $^2/_3$-ს შეადგენენ.

ქართველის გლეხის თვისებაა სტუმრის-მოყვარეობა, ხვნა-თესვის სიყვარული და ძნელად ახალის წეს-წყობილების შეთვისება. ქართველი გლეხი ძნელად დასტოვებს იმ ადგილს, სადაც სცხოვრობდნენ მისნი მამა-პაპანი, ძნელად შესცვლის ერთხელვე შეთვისებულ ყოფა-ცხოვრებასა და შინაურს წეს-წყობილებას, რადგან არა ჰსურს, რომ რითიმე გაირჩეოდეს თავის მამა-პაპათაგან. ზარმაცი არ არის, ყოველს თავის ძალ-ღონეს ხვნა-თესვასა და საქონლის მოვლას ანდომებს. მუდამ თავისს სახლ-კარს დასტრიალებს და არას დროს კერას არ მოშორდება, იმერიეით სამუშაოდ არ წავა სხვა ქვეყნებში.

დედაკაცები ქმრებს შველიან მხოლოდ ლეწვასა და ბაღ-ვენახის მოვლაში. დანარჩენ დროს-კი ახნარებენ ოჯახის მოვლას. კიდევ ბევრი თავისუფალი დრო რჩებათ, მაგრამ ხელსაქმე თითქმის არ იციან, რასაკვირველია, თუ სათვალავში წინდის ქსოვას არ ჩავაგდებთ. ზოგიერთ სოფლებში დედაკაცები სასმელს წყალსაც-კი არ ეზიდებიან და უქმად არიან.

ტფილისის მაზრის სომხები, გარდა სოფ. დაგეთ-ხაჩინისა და სამშვილდის მცხოვრებთა, ყველანი გადმოსახლებულან ქართველ მეფეების დროს მე-XIII-ე საუკუნის დასასრულიდამ, მაშინ, როდესაც ოსმალთ დაიპყრეს სომხეთი. სომხები შემოვიდნენ საქართველოში და იმის ყოველ კუთხეში დასახლდნენ, დაივიწყეს თავისი ენა და ეხლა მხოლოდ ქართულად-ღა ლაპარაკობენ. ამ გვარადვე დაივიწყეს თავისი ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება და ყოველისფრით შეეთვისნენ ქართველებს საკუთარი შერჩათ სომხებს მარტო რჯული. ოსნი დიდ-ლილოში დაასახლა ერეკლე II-მ. ამათაც დაივიწყეს ენაცა და ჩვეულებანიც და სრულიად გაქართველდნენ. ფშავნი გადმოსახლდნენ ერწო-თიანეთიდამ და დასახლდნენ მაზრის ჩრდილოეთ მხარეს. რუსნი, გარდა სოფ. მალხაზოვკას მცხოვრებთა, ჯარის სამსახურში შესრულებულნი არიან. მალხაზოვკაში სცხოვრობენ მალაკნები, რომელნიც აქ გადმოსახლდნენ 1852 წელს. ბერძენნი სოფ. წინ-წყაროს გადმოსახლდნენ 1829 წელს.

გლეხთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ფრიად მცირეა. ჩვენდა სასიხარულოდ ამ ათიოდე წელში ბევრი სასოფლო სკოლა დაიმართა. ეხლა ძლიერ ნაკლებად არის იმისთანა სოფელი ან საზოგადოება, სადაც ან სკოლა არ იყოს გამართული, ან საზოგადოების გარდაწყვეტილება არ არსებობდეს სკოლის გამართვის თაობაზე.

სახაზინო პალატის ცნობით სახელმწიფო გლეხთა სოფლების რიცხვი მაზრაში არის 57 საზოგადო რიცხვი ყველა ეროვნობის მოსახლეთი, იმათის რიცხვის ზრდა და მატება 1873 წლიდგან სჩანს შემდეგის აღრიცხვიდამ.

1873 წელს:

	კომლობა	მამაკაცი	დედაკაცი
ქართველნი	3.42 2	11,101	8,950
ფშავნი	31	131	104
ოსნი	109	345	247
სომეხნი	573	2,338	1,854
ბერძენნი	131	631	565
რუსნი	830	2,106	1,979
გერმანელნი	2	2	1
პოლშელნი	52	89	77
ურიანი	6	20	12

1885 წელს:

	კომლობა	მამაკაცი	დედაკაცი
ქართველნი	4,210	12,002	9,908
ფშავნი	46	151	133
ოსნი	121	375	305
სომეხნი	777	2,867	2,245
ბერძენნი	185	736	698
რუსნი	861	2,473	2,243
გერმანელნი	2	5	7
პოლშელნი	36	95	69
ურიანი	4	18	12
სულ 1873 წელს იყო	5,157	16,763	13,789
1885 წელს	6,242	18,722	15,670

(დასასრული იქნება)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

იმერეთი, 24 ინვარი. როგორც ყველას მოეხსენება, ამ ბოლოს დროს კავკასიაში შემოვიდა საყოველთაოდ სავალდებულო სამხედრო სამსახური. დღეს ყველა ჰხედავს, როგორ გაჭირებაში არიან ახლად-გაყვანილნი უმეცარნი ახალგაზდა ჯარის კაცნი, როგორ უჭირთ ამ ახლად გამოწვეულთ, უცოდინარობისა და უსწავლელობის გამო, შეთვისება სამხედრო წესებისა და თვით უადვილესი მიხვრა-მოხვრისა, როგორ უძნელდებათ სამსახურში წინ წაწევა, შესამჩნევის ნაბიჯის გადადგმა და კანონიერად შესრულება თავის მოვალეობისა. ამ გარემოებამ ყველას აგრძნობინა ის ჭეშმარიტება, რომ ერთად-ერთი საშუალება, რითაც ახლად გაყვანილ ჯარის კაცებს შეუძლიანთ სიძნელე სამხედრო სამსახურისა შეიმსუბუქონ და გაიადვილონ, არის სწავლა-განათლება. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ეხლა ყოველი შეგნებული ერი სცდილობს მრავლად დაიარსოს პირველ-დასაწყისი სკოლა მაინც, რომ მოზარდ თაობას შეეძლოს შეიძინოს უსაჭიროესი ცოდნა. ჩვენში ამ მხრით ძლიერ წინ წაიწიეს გურია-სამეგრელომ და, ასე გასინჯეთ, რა ქამაც-კი. ამ ქვეყნებში იშვიათია ისეთი საზოგადოება, სადაც პირველ-დასაწყისი სკოლა არ იყოს გამართული. ხოლო ბევრგან ამასაც არ კმარობენ და ორ-კლასიან სასწავლებელს ჰმართავენ. ყმაწვილები იმდენი მიჰყავთ სკოლებში, რომ მასწავლებლები ხშირად იძულებულნი არიან უარი უთხრან ბავშვების მამებს უადგილობისა გამო. ამიტომ დარწმუნებით შეიძლება ესთქვათ, რომ ამ ქვეყნებს კარგი ბედი და მერმისი მოელით. სამწუხაროდ, ამ საზოგადო სურვილს განათლებისას არ მისდევს და თვალ-ყურს არიდებს საზოგადოდ ზემო იმერეთი და განსაკუთრებით ამაშუკეთის საზოგადოება. აქ მხოლოდ სასულიერო წოდება სცდილობს თავის შვილების ბედ-იღბლისათვის, დანარჩენ წოდებას-კი ჯერ ვერ შეუგნია სწავლა-განათლების საჭიროება და ამიტომ არც ხალისი აქვს იმისი შეძენისა. მთელს შორაპნის მაზრაში, რომელსაც მკვიდრთა რაოდენობითა და ნივთიერის სიმდიდრით მგონი ტოლიც არა ჰყავს მთელს გუბერნიაში, სულ 9—10 სასოფლო სკოლაა, მ გრამ ამ სკოლებში მხოლოდ ორია, ხარაგოულისა და ჩიხისა ისეთი, რომელთაც შეიძლება კაცმა სკოლა უწოდოს. დანარჩენები-კი ისეთი მანგრეულ-მონგრეული და მოუწყობლებია, რომ ჰიგიენისა და პედაგოგიის საჭიროებას თოფის მანძილზედაც არ იკარებენ. ბავშვები ჯერ არავის მიჰყავთ სკოლაში და თუ ვინმემ „მოიძულა“ და მიიყვანა, რიგიანად არ არონიებს, ხშირად სწავლას მოაცდენს და არც საჭირო ნივთების ყიდვას უძებნის. სკოლას არა თუ აკეთებ-ამშვენიერებენ, არამედ სულ გაუქმებასა და მოსპობას ცდილობენ! ნუ თუ ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ ჩვენ მტერნი ვართ სწავლა-განათლებისა და არა გვსურს უმეცრების მონებას თავი დავახწიოთ?!

ამ რამდენისამე წლის წინად, როცა სკოლების გამართვა ახალი საქმე იყო ჩვენში, ამაშუკეთის საზოგადოებაც აჰყვა ფეხის ხმას და სასოფლო სკოლა დაიარსა. ნეტავ არ დაეარსებინა! აგერ თხუთმეტი წელიწადია, საზოგადოება ყოველ წლივ 400 მანეთამდე იხდის სკოლის შესანახავად და მერე რა სარგებლობისათვის? პირველ ხანებში გლეხებს ხალისით შეჰყავდათ შვილები ახლად დაარსებულ სკოლაში, რადგან ჰფიქრობდნენ, რომ ჩვენი შვილები ერთი-ორის წლის განმავლობაში „დამცოდინარდებიანო“, მაგრამ მათი ფიქრი არ გამართლდა. თვით „დაუმცოდინარებელმა“ და ხშირად სრულიად მოუმზადებელმა მასწავლებლებმა ვერ შესძლეს ყმაწვილების „დამცოდინარება“, რის გამოც გლეხებმა ხალისი დაჰკარგეს და სრულებით თავი დაანებეს შვილების სკოლაში გზავნას. ეხლა აქაურები ისე უყურებენ სკოლას, როგორც სრულებით უსარგებლო და ნივთიერად საზარალო დაწესებულებას. აქაურ გლეხს რომ ჰკითხო, რატომ შვილს სკოლაში არ ჰგზავნიო, ასე გიპასუხებთ: «მამას არ სცოდნია ჩემსას და პაპას, მაგრამ ქე უცხოვრიათო». თუ ჩააცივდი და დააჯერე, რომ ჩვენ არ გვარგია მამა-პაპის წახედვა, რადგან მაშინდელ დროში ისე საჭირო არ ყოფილა სწავლა, როგორც ეხლაო, ის მაინც კიდევ მოგიგებთ: რითი ვარონიო შვილი სკოლაში, ერთი რომ სკოლაა შორს და მეორე—არას ასწავლიან რიგიანადაო. რაც შეეხება სკოლის სიშორეს მცხოვრებთათვის, ეს, მართლაც, ძლიერ აფერხებს ისეც ყველასაგან მოძულებულ სკოლის საქმეს. სკოლის დაუმარჯვებლობას დიდი ხანია ჰგრძნობენ აქაურები და თითოეული სოფელი სცდილობს რაც შეიძლება (ვინ იცის, იქმნება მარტო სახელისათვის) დაიახლოვოს სკოლა, მაგრამ აქამომდე ვერ მონახეს ისეთი ადგილი სკოლისათვის, რომ ყველა სოფლისათვის დამარჯვებული იყოს და არც აწი შეუძლიანთ მონახონ. ის ადგილი, სადაც დღეს არსებობს სკოლა, თითქმის შუაგულ საზოგადოებაშია, მაგრამ უმთავრესი სოფლები ღორეშა და ამაშუკეთი-კი ძლიერ დაცილებულნი არიან. ამიტომ ურიგო არ იქნება ამ სოფლებმა ხარჯს ცოტა ხარჯი კიდევ მიუმატონ და თავ-თავიანთვის საკუთარი სკოლები გაიკეთონ.

რაც შეეხება მეორე საბუთს, „სკოლაში არას ასწავლიან კარგადო“, ესეც-კი არ არის უსაფუძვლო, რადგან ამაშუკეთის სკოლისა და იქ მოსწავლეთა ბედი ხშირად ისეთ კაცების ხელში ყოფილა, რომელთაც არათუ მარტო მომზადება ჰკლებიათ მასწავლებლობისათვის, არამედ რიგიანი წერა-კითხვაც არ სცოდნიათ. ამიტომ „ერთ გუდაში არ ეყარა და მეორე ჰყრიდნენო“, ქართველები რომ იტყვიან, სწორედ ზოგიერთ აქაურ მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე ითქმის. აქ ისეთი მასწავლებელი იყო და არის დღესაც საჭირო, რომელსაც ხალხში ხმა ჰქონდეს, გაუვიდოდეს რამე, რომ თავისის მუყაითის შრომით, გამრჯელობით გულ-აცრუებულ ხალხს შეაყვაროს სკოლა.

ამაშუკეთის საზოგადოებაში ეს ორი თვეა მძვინვარებს ახალი სენი «ინფლუენცია», რომელსაც ათას ნაირად დაუმახინჯეს სახელი და ვინ «ფოლერციას» უძახის, ვინ «ფოლენციას» და, ვინ იცის, კიდევ რას. ამ სასაცილოდ აგდებას დიდის მოთმინებით იტანდა „ინფლუენცია“ და ერთ ხანად არავისათვის ცუდი არ უკადრებია, მაგრამ ამ ბოლოს დროს-კი, როცა მოთმინებიდამ გამოვიდა, ძლიერ გაკაპასდა და ბევრი საიქიოსაც გაამგზავრა.

სიმონ ჭუმბურიძე

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

კნეინა ელისაბედ რევაზის ასულის გახვახოვის მასპინძლობით გულ-მხურვალე მონაწილეობის მიღებით კნეინა ეკატერინე გულბაათის ასულის მაყაშვილისა და აგრეთვე სხვათა დახმარებით თელავის კლუბის დარბაზში გავმართეთ ამ თვეის თერთმეტს ბალი დაზარალებულის წინამძღვრიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ. ამ ბალის შემოსავლიდამ, ხარჯს გარდა, დარჩა 300 მან, ამაში შემოწირულია: ივანე ბალდასარის ძის ბალდოევის მიერ ათი თუმანი (100 მ.) და ილია იმერლიშვილის მიერ ხუთი მანეთი (5 მ.).

გთხოვთ ეს ოც-და-ათი თუმანი გადასცეთ სკოლის გამგეობას, როგორც მცირედი შემოსაწირი გულით თანამგრძნობელ თელავის პატარა საზოგადოებისა.

თ. სვ. ვეზირიშვილი

◆◆

უცხოეთი

საფრანგეთი. ერთს უსამართლობას მეორე მოსდევს. სადაც საქმეში ბოროტება ჩათესლებულა, იქ სიკეთე აღარ იქნება, ვიდრე ის ბოროტება არ ამოიფხვრება, პირველი უსამართლობა არ გასწორდება. ასეთი აზრი ტრიალებს დღეს საფრანგეთში. საფრანგეთში ამბობენ, რომ გერმანიამ დიდი ბოროტება, დიდი უსამართლობა ჩაიდინა, რომ წაგვართვა ელზასი და ლოტარინგიაო. მას უკან ჩვენ ერთმანეთის მტერნი ვართ, ჩვენი გული აღარ გასწორებულა. ისიცა და ჩვენც გამწარებით ვემზადებით მტრულად დავუხვდეთ ერთმანეთს, ვაწყობთ რაზმებს, ვამრავლებთ ჯარებს, ვხარჯავთ აუარებელს ფულს შეთოფ-იარაღებისათვის და ვკარგავთ ძვირფასს დროს ამ უნაყოფო საქმისათვისაო. აი ასეთი ბოროტება მოჰყვა იმ უსამართლობას, რომელიც გერმანიამ ჩაიდინა ჩვენს შესახებ, რაკი ელზას-ლოტარინგია წაგვართვაო. მეციდამ ეხლა აღარაფერი მანძილი არ არის პარიჟამდე, ასე სულ 15 მონაცვლება გზად მიმავალის ლაშქრისათვის, მაშინ როცა ბერლინამდე 40 მონაცვლება იქნება. ცხადია, რომ საფრანგეთის უშიშროება უზრუნველ-ყოფილი არ არის, მით უმეტეს, როცა მეციდამ პარიჟამდე გზაზე არავითარი ბუნებური დაბრკოლება არა დახვდება-რა სამტროდ წამოსულს ლაშქარს.

ამიტომ საფრანგეთის ზოგიერთ მოღვაწეთა აზრით ჩვენ ვეძებთ მეგობრებს, მოკავშირეებს, ვუმეგობრდებით რუსეთს და გვინდა მასთან ერთად ექვსი მილიონი ჯარის-კაცი ვიყოლიოთ გერმანიის ასალაგმავად, თუ გაჰბედა რამე ჩვენ საწინააღმდეგოდაო. თორემ მართლა დიდი სიყვარული-კი არა გვაქვს სლავიანთა ქვეყნებისა. ჩვენ მტერი გერმანიისა მიგვაჩნია მეგობრად, ხოლო ვინ არ იცის, რომ გერმანია რუსეთის მტერია და, სხვათა შორის, სამთა კავშირის აზრიც ის არის, რომ რუსეთს გაუმკლავდეს, იმ რუსეთს, რომელიც, მართალია, ნელ-ნელა მიიწევს წინ, მაგრამ განუწყვეტლივ-კი მიიწევს, განუწყვეტლივ ეტანება წარმატებასაო.

თუ გინდა, რომ ეს ასე არ იყოს, თუ გინდა ხარჯიც ავიცდინოთ, დროს დაკარგვაც, მტრობაც მოისპოს საფრანგეთსა და გერმანიას შორის, გერმანიამ უნდა დაუბრუნოს ელზასი და ლოტარინგია. მაშინ ადვილი იქნება ჩვენ შორის გულ-წრფელი მეგობრობა. ჩვენი კავშირი ალაგმავს მაშინ აღმოსავლეთს, რომელიც, თუ ერთი გაიწია და თავის უწერთნელის ძალით თავს დაესხა ევროპას, შეჰმუსრავს ყოველსავე იმის განათლებას, წარმატებასა და კულტურასაო.

ხოლო ვინ იქნება გერმანიაში ისეთი კაცი, რომ ეს სამართლიანი საქმე

იტეირთოს და ჩამოაგდოს ევროპაში ის კავშირი, რომელიც განათლებისა და წარმატების კავშირი იქნება წინააღმდეგ ბარბაროსობისა და უწერთნელობისაო?

◆◆

რომანი

ჟორჟ დიურუისა

ჟორჟ დიურუის «განქრა ოცნება» (La fin de Rêve) საპოლიტიკო რომანია და დიდის ხალისით კითხულობს ამ ახალს წიგნს მთელი საფრანგეთი და იქნება მთელი ევროპაც. დიურუის წიგნში რამდენიმე ნამდვილი საპოლიტიკო მოღვაწეა გამოყვანილი: გამბეტა, ვილსონი, სიძე გრევისა, ლუიზა მიშელი და სხვანი. დიურუის ყველა ამათთვის სახელი გამოუცვლია. სხვაფრივ-კი ისეთს ამბებსა სწერს საფრანგეთის ცხოვრებისას, რომ არავითარი ეჭვი არ არის მკითხველისათვის, ვინც უნდა იყვნენ სახელ-გამოცვლილი გმირები რომანისა, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებაა ზოგიერთის დროსა და გარემოების შესახებ.

ავტორი სამ სხვა-და-სხვა გვარს რესპუბლიკელს ჰხატავს თავის წიგნში: იმათ, ვინც შეურიგებელნი მტერნი არიან ბურჟუაზიის მიერ დამყარებულის დღევანდელის წეს-წყობილებისა და უმწვერვალესად დემოკრატობენ; ვინც ყველაფერს ეჭვის თვალიც უცქერიან, არაფრის იმედი არა აქვთ, მასხარად იგდებენ ყოველ გმირს, იდეალსა, პრინციპს და სწამთ მხოლოდ ოქრო და მამონი და ბოლოს ისინი, ვინც აღსავსენი არიან პატიოსნებით, კეთილ-გონიერებითა და ქვეყნის სიყვარულით. აი ამ სამ გვარის ხალხის წარმომადგენელნი ჰყავს გმირებად აღებული დიურუის. სამივენი ერთმანეთის ნათესავები არიან. გამბეტას შეცვლილი სახელი კოსტალაა, ვილსონისა—მორგანი, ლუიზა მიშელისა—ორელია. დიურუის დიდის ოსტატობით აქვს დახატული ზნეობრივი ახოვანება და დიდ-ბუნებოვანება გამბეტასი და, თუმცა არა ჰმალავს იმის ნაკლულევანებას, მაგრამ თან იმის დიდს ღირსებასაც დიდის აღტაცებით გვიამბობს. რომანი იწყება იმ დროს, როცა გამბეტას სახელი ყველას პირზე აკერია, როცა იმის მზესა ფიცულობენ და იმის ნიჭითა და გაბედულობით ქვეყანა გაკვირვებულია. აი გაუჩნდნენ მტრებიც ქვეყნის საყვარელს კაცს: მონარქიელნი, სხვაფრივ რომ ვერა დაუკლიათ-რა, ბნედიანს ეძახიან, დემოკრატები ჰკიცხავენ, რომ გვიღალატა და დიქტატორობა უნდაო. პალატის ერთს დიდს კრებაზე ყოველ მხრივ თავს დაესხმიან კოსტალას მტერნი. კოსტალა ლომივით გამძვინვარებული ებრძვის მტრებს, ყველას ღირსეულს პასუხს აძლევს და იმისი მჭევრმეტყველობით აღსავსე სიტყვა ჰქუხს, გრგვინავს. იმისი მომხრენი გამოდიან გამარჯვებულნი და კოსტალას სამინისტროს მოთავეობას აძლევენ. კოსტალამ ამ სახით მიჰფანტ-მოჰფანტა მტერი შინ, გაამზადა ჯარები გარეშე მტრის ჯარის ამოსაჟლელად და ახლა მხოლოდ იმის ოცნებაში-ღაა, რომ იმის სამშობლო გამდიდრდეს, განათლდეს უმეტესად და ამობრწყინდეს ვარსკვლავივით.

სწორედ ამ დროს იჩენს თავს უმსგავსო ამბავი. იმისი ნახევარი ძმა მორგანი, რომელსაც განუსაზღვრელად ენდობოდა კოსტალა, გაბმულა ათას გვარ ბოროტ-მოქმედებაში. აქაო-და კოსტალა პირველი კაცია საფრანგეთშიო და, მაშასადამე, ვერავინ ვერას დამაკლებს, მორგანს ათასი უნამუსობა ჩაუდენია, ათასი ხელ-მრუდობა, ათასი საზიზღარი საქციელი. ორელიას შვილი ვენდექსი, რომელსაც თავისი დემოკრატიული გაზეთი აქვს, ჰბეჭდავს ყოველსავე ამას გაზეთში და თხოულობს, რომ სამართალში იქნას მიცემული მორგანიო. კოსტალას არა სჯერა მორგანისაგან ბოროტ-მოქმედება და ურჩევს, წადი მოწინააღმდეგე კრებაზედ და დაამტკიცე შენი სიმართლეო. მორგანი ჯერ ვერა ჰბედავს, მაგრამ შემდეგ და თანხმდება იმ იმედით, რომ იქნება ჩემის ძმის ხათრი შეინახონ, ჩვენმა მომხრეებმა არ დაიჯერონ ჩემი ავკაცობა და იმ ყვირალა ბიჭ-ბუჭებს პირში ბურთი ჩაჩაროთო. თვით კოსტალაც შეუმჩნევლად დაესწრება ამ კრებას და თავის თვალით ჰხედავს, როგორ ამტყუნებენ და თავზე ლაფს ასხმენ დემოკრატები და რადიკალები მორგანს. შერცხვენილი, გულ-გატეხილი მოდის კოსტალა სახლში და მეორე დღესვე თავს ანებებს სამინისტროს მოთავეობას. იმას შემდეგ, რაც მოხდა, მე თავი აღარ გამომეყოფება გარეთ, არა თუ მოთავეობა და პირველობა მეტროს სახელმწიფოშიო. კოსტალა მიდის სოფლად და იქ სცხოვრობს მწარედ დანაღვლიანებული და დაფიქრებული. ის-ის იყო უნდა ასრულებულიყო ჩემი ნატვრა, ის-ის იყო ქვეყანას ბედნიერება უნდა მინიჭებოდა და დახე, რა მეწერა, როგორ დაიქცა ყოველივეო. განქრა ოცნება, ბოლო მოეღო ჩემს ნატვრას, ჩემს იდეალსაო.

სასიკვდილოდ დაჭრილი კოსტალა ვენდექსის მიერ რაღაც უსიამოვნობის გამო უკანასკნელად ჰნახავს მორგანს და საშინელის საყვედურით უხვრეტავს ცხვირს: შენ დაჰღუპე ქვეყანა, შენ შეარცხვინე რესპუბლიკაო. შენისთანა წუწკი ადამიანი რომ გამოერევა რომელსამე პატიოსანს დასში, გათავდა, იმ დასს ნდობა ეკარგება და ძალა ეძლევათ იმის მოწინააღმდეგეთა ქვეყანა თვით მიიმხრონ და კლდეზე გადაჩეხონო...

კოსტალა გარდაიცვლება და ქვეყანა დიდის ამბით ჰმარხავს თავის გამოჩენილს მოღვაწეს.

◆◆

წვრილი ამბები

მთელს ევროპაში სულ იბეჭდება ოცი ათასამდე დრო-გამოშვებითი გამოცემა, ჟურნალ-გაზეთი და სხ. პირველი ადგილი უჭირავს გერმანიას, სადაც 5,500 გამოცემა იბეჭდება, ამათში 800 ყოველ დღიური; გერმანიას მოჰყვება ინგლისი—4,000 გამოცემა, აქაც 800 ყოველ დღიური; საფრანგეთში—4,092 გამოცემაა, ამათგან 360 ყოველ დღიური; იტალიაში — 1,400 გამოცემაა (დედა-ქალაქს რომში—200, მილანში—140, ნეაპოლში—120, ტურინში —94 და ფლორენციაში—79); ისპანიაში — 850 გამოცემა; რუსეთში—800; საბერძნეთში —600 მდე (ათინაში—54); შვეიცარიაში—450, ჰოლანდიასა და ბელგიაში—300. აზიაში აღირიცხება 3 ათასი პუბლიცისტიკური გამოცემა, ამათგან 2 ათასამდე მარტო იაპონიაში გამოდის; სპარსეთში გამოდის 6 გამოცემა, ჩინეთში – 3 და ერთი ოფიციალური გაზეთიც ყარსში, დანარჩენი გამოცემანი-კი ინდოეთში იბეჭდება. აფრიკაში 200 გამოცემა გამოდის, ამათგან 30 ეგვიპტეში და დანარჩენი-კი ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიებში; ამერიკის შეერთებულ შტატებში იბეჭდება 12,500 გაზეთი; ამათგან სულ უძველესი „Boston News“-ია, რომელიც 1794 წლიდამ გამოდის; კანადაში არსებობს 700 გამოცემა და ამათში უმრავლესი ფრანგულს ენაზედ იბეჭდება სამხრეთ ამერიკაში ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს არგენტინის რესპუბლიკას—60. ავსტრიაში გამოდის 700 გამოცემა; სანდვიჩის კუნძულებზედ— 8, ხუთი ინგლისურს ენაზედ და სამაც ადგილობრივზედ გამოანგარიშებულია, რომ მთელს დედამიწაზედ სულ 35 ათასი დრო-გამოშვებითი გამოცემა იბეჭდება, აქედამ ინგლისურს ენაზედ 16.500, გერმანულსა 7.500, ფრანგულსა 6.850, ისპანურსა 1,600 და იტალიანურზედ 1,450.

— იაპონიის მიკადოს (იმპერატორის) ბრძანება გამოუცია, რომ ჩემს სახელმწიფოში ამიერიდგან დუელი აღიკრძალავს და ვინც ამ მხრით დაარღვევს რასმე და ბრძანებას გადავა, სისხლის სამართალში იქნება მიცემულიო.

◆

დეპეშები

26 იანვარი

ვენა (განსაკ. დეპ.). როგორც ბოლგარიიდგან მოსულ კერძო ცნობებიდგანა სჩანს, იქ შემოუღიათ განსაკუთრებულნი ღონისძიებანი: ყველა გარნიზონი და სხვა ჯარი ყოველთვის მზად არის თურმე ყაზარმებში. მმართველებს რევოლიუციისა ეშინიანთ. კვლავ აპატიმრებენ ხალხს. ეჭვი აიღეს აგრეთვე პოლკოვნიკ ნიკოლაევზედ, რომელიც ფილიპოპოლშია.

„Corresp. De d'Est“-ი იუწყება, რომ ბოლგარიის საერო კრების ვიცეპრეზიდენტმა ანდრონოვმა ფილიპოპოლში ხალხი დაიქირავა დამიანდო, რომ მინისტრი ტონჩევი მოჰკალითო. ტონჩევი საფრთხეს გადარჩა. რადგან სტამბულოვი ვიცე-პრეზიდენტის წინააღმდეგ მოქმედებას ვერა ჰბედავს, ტონჩევს განზრახვა აქვს სამინისტროდგან გამოვიდესო.

27 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადებულია კანონი, რომ ჯამაგირი მიემატოს ირკუტსკის გუბერნიის და იაკუტსკის ოლქის სამოსამართლო უწყების მოხელეებს.

განზრახული დაწესება ურალოკოლგის რკინის გზის საზოგადოებისა არ მოხერხდა.

გამოცხადებულია წესდება „რუსეთის სავაჭრო სამრეწველო საკომერციო ბანკისა“ პეტერბურგში. დამაარსებელნი საზოგადოებისა რუსეთის ვაჭარნი და პარიჟის საბანკირო ფირმები არიან.

გამოცხადებულია შემდეგი განკარგულება ფინანსთა მინისტრისა: რკინის გზების მიერ გამოცხადებული წესნი საქონლის გადატან-გადმოტანის ტარიფისა რუსეთში გაუქმებულ იქმნას 1890 წლის 1 ივლისიდამ. შეიძლება წარუდგინონ რკინის-გზას ის ნაკლადნოები ხორბლისა, რომელიც დაწერილია ამ ვადამდე და მოთხოვნილ იქმნას 1891 წლის 1 იანვრამდე დაბრუნება გადასატანის ფასისა, თანხმად ზემოხსენებულის წესებისა. ნება დართულ იქმნას შემოღებულ იყოს ტარიფები ნაფქვავის შესახებ, იმ ნაფქვავის შესახებ, რომელიც სამზღვარ გარედ არის გადასატანი. ამ აზრით ერჩიოს საზოგადო კრებას სატარიფო საგნების გამო, შეიმუშაოს სათანადო წესები, რომელნიც, დამტკიცების შემდეგ, შემოღებულ იქმნას ხუთის წლის ვადითაო.

თანხმად გზათა მინისტრის მიერ გამოცხადებულის გარდაწყვეტილებისა ის ხარჯი, რომელიც მოსდევს რკინის გზების შემოსავალ-გასავლის შემოწმების წესდების მე 60 მუხლის ძალით, იმ რკინის გზისა უნდა იყოს, რომლის შემოსავლად გასავლის შემოწმებაც მოხდა.

„Нов Вр.“ს გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა დებულება იმისი თუ, რა წესით უნდა გარდაეცეს ხაზინას რკინის-გზები იმ საზოგადოებათა. რომელნიც, უკვე დამტკიცებულია, რომ შეუძლებელნი მოვალენი არიან და აგრეთვე იმისი თუ, როგორ უნდა მოიქცეს ხაზინა, როცა შეუძლებელ მოვალეთა გზების საქმე მის ხელში უნდა გადავიდეს.

ნიცცა. გუშინ აქ ჩამოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის მე უფროსი.

პარიჟი. ჰერცოგი ორლეანისა, შვილი პარიჟის გრაფისა, მოვიდა აქა გამოეცხადა სამხედრო უფროსებს და უთხრა, რომ მე ახლა შევსრულდი იმ ხნისა, რომელიც დაწესებულია კანონით, და მსურს სამხედრო სამსახურში შესვლაო. ჰერცოგს ამ თხოვნაზე უარი უთხრეს და დაპატიმრეს იგი იმ კანონის ძალით, რომელიც ხელმწიფის გვარეულობათა ჩამომავლობას უკრძალავს საფრანგეთში ყოფნას.

პეტერბურგის ბირჟა, 26 იანვარი

	[illegible]	[illegible]	[illegible]
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— „		7 31
ტამოჟნის კუპონები	— „	„	146½
მანათიანი ვერცხლის ფული	1 8	—	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	241¾	— „
—მეორისა	— „	-- „	229
—მესამისა	— „		218¼
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა		— „	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

იანვარი 31 დღით არის

28 დღე კვირა. ქართველ. ღირსისა მამისა ეფრემ ასურისა და ღირს. პალადისა. კათოლ. წმ. კირილესი, ფლავინა და კარლასი. სომეხ. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა. მზე ამოდის 7 საათ. და 4 წუთ., ჩად. 5 ს. 25 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12 საათ. და 14 წუთ. მთვარე 19 დღისაა.

29 დღე ორშაბათი. ქართველ. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მღვდელ-მოწამის იგნატი ღმერთ შემოსილისა. კათოლ. წმ. ფრ ნცისკა, ფერსილია და კონსტანტინესი. სომეხ. წმ. ათომიანც მხედრობათა. მზე ამოდის 7 საათ. და 3 წუთ., ჩადის 5 საათ. 26 წუთ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12 საათ. და 14 წუთ. მთვარე 20 დღისაა.

განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ
გლეხის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა	„	25
მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის.	„	60
თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა	1	„
ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა	1	„
მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“	„	20
ქართული თეატრი, ვ. გუნია ი	„	40
ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ ლომოურისა	„	15
პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა	„	10
ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა	„	30

НАСТОЛЬНЫЙ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ БРОКГАУЗА

изданіи А. Гарбель и К-о.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ москвѣ, въ магазинахъ: Дейбнеръ [Кузнецкій мостъ], Якобсонъ (Неглинная), „Сотрудникъ Школъ“ (Воздвиженка), Карбасникова Моховая и въ его отдѣленіяхъ въ Петербургѣ и Варшавѣ], Ильинъ Фену и К. (Петровскія линіи и въ его отдѣленіи въ Потербургѣ) и въ конторѣ Гиляровскаго (Петровка, Столешниковъ пер., д. Карзинкина)

Словарь будетъ выходить въ свѣтъ съ начала 1890 года, отдѣльными выпусками, отъ 2-хъ до 3-хъ листовъ in 40 Всѣхъ выпусковъ предполагается 50.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на всѣ выпуски на лучшей веленевой бумагѣ 12 руб.
„ „ „ „ обыкновенной „ 10 „
„ каждый выпускъ отдѣльно на лучшей бумагѣ 35 коп.
„ „ „ „ „ обыкнов. „ 25 „
Цѣна словаря въ продажѣ (неподписчикамъ): на лучшей бумагѣ—20 руб.
„ обыкнов. „ 15 „

Подписчики по выходѣ всѣхъ выпусковъ въ свѣтъ получаютъ: **карты, рисунки и роскошную папку БЕЗПЛАТНО.**

Вся немецкая печать единогласно и самымъ лестнымъ образомъ отозвалась объ энциклопедическихъ трудахъ Брокгауза, такъ между прочими „Neue Freie Presse“ говоритъ, что въ настоящее время энциклопедическій словарь Брокгауза необходимъ не только для каждаго образованнаго, но и для всяка о любознательнаго человѣка, ибо даетъ отвѣты на всевозможныя справки по всѣмъ отраслямъ человѣческаго знанія. Словомъ, эта книга—„сама необходимость“.—

Словарь этотъ отвѣчаетъ на вопросы: антропологіи, археографіи, археологіи, астрономіи, ботаники, военной науки, всемірной исторій, геогнозіи, географіи, геологіи, гидротехники, зоологіи, искусствъ, коммерческой науки, всеобщей литературы, литографіи, математики, медицины, минералогіи, морскихъ дѣлъ, палеонтологіи, петрографіи, политической экономіи, психо-философіи, финансовой науки, фотографіи, химіи, художественной промышленности, электротехники, эстетики, этнографіи, юриспруденціи и т. п.

Адресъ издателей Почтѣ извѣстенъ. (5—2)

Доз. ценз. Тифлисъ 27-го Января, 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаев а уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.